

## საქართველოს კანონი

### „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5, 1998 წელი, მუხ. 40) შემანიშნებულ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სახელმწიფო მართვის ორგანიზების, უშუალო კოორდინაციისა და წარმართვის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვის სამსახურის სისტემაში იქმნება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამმართველო (შემდგომში სამმართველო).“

2. მე-9 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) გააკონტროლოს გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების პირობების შესრულების მდგომარეობა, რისთვისაც სამმართველო ატარებს შესაბამის ინსპექტირებას;“

3. მე-11 მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. გაცემული ლიცენზიების მფლობელების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სამმართველო.“

4. მე-11<sup>1</sup> მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. გაცემული ნებართვების მფლობელების მიერ სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სამმართველო.“

მუხლი 2. გარდამავალი დებულებანი

1. რეორგანიზებულ იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახური“ და შევიდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის სამსახურში სტრუქტურულ ქვედანაყოფად – „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამმართველო“.

2. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეორგანიზაციის ღონისძიებების განხორციელება.

3. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საკვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის სამსახური ჩაითვალოს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის უფლებამონაცვლედ.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი